

## ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ

2021 წლის 01.06 დან 2022 წლის იანვრის თვიდან დღემდე

### გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას, მონიტორინგს დაავადებათა ეპიდზედამხედველობაზე, შემთხვევათა /ეპიდაფეთქებათა/ გამოვლენას, რეგისტრაციას, კვლევას, დადასტურებას, ანალიზს, მონაცემთა ანგარიშგებას, საპასუხო რეაგირებას და მზადყოფნასთან დაკავშირებულ მოქმედებებს, უკუკავშირს და კომუნიკაციას.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი პერიოდულად ვალდებულია განახორციელოს: პოლიკლინიკის, ანტირაბიული კაბინეტის, კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის, პირველადი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მონიტორინგი - ეპიდ. ზედამხედველობის კუთხით.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ ხდება დაავადებების, შეტყობინების მიღება, დარეგისტრირება, კერების გამოკვლევა, ინფექციის წყაროს გამოვლენა, კონტაქტების დადგენა, აღრიცხვა და საჭირო რეკომენდაციების მიწოდება.

ახალი კორონავირუსული ინფექციის გავრცელების გამო, ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი, ანხორციელებდა ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერაა გამოცემული ბრძანებებით და დადგენილებებით. ასევე იმ პროტოკოლებით, რომელიც იყო და არის დღემდე გათვალისწინებული.

1. ჩვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ-19 ით ინფიცირების 5374 დადასტურებული შემთხვევაა სულ აღრიცხული, აქედან 2021 წლის ივნისიდან 2022 წლის ივლისამდე 4706 შემთხვევა, იანვრიდან დღემდე 1947 შემთხვევა, ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა თებერვლის თვეში 1150. მარტის თვიდან შემთხვევები მკვეთრად შემცირდა, მაისის თვეში

ადრიცხულია სულ 17 შემთხვევა . ინფიცირებულების უმრავლესობა მკურნალობდა ბინაზე, ონლაინ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. გარდაიცვალა სულ 49 ინფიცირებული; წელს ლეტალობის 6 შემთხვევა დაფიქსირდა. ყველა ინფიცირების შემთხვევა იქნა შესწავლილი, კონტაქტები გამოვლენილი, შესაბამისად შეფარდებული თვითიზოლაცია. დაფიქსირდა რეინფიცირების შემთხვევები, ჩვენს მიერ გამოვლინდა 87 რეინფიცირება, თუმცა რეალური რიცხვი გაცილებით მეტი იქნება მათი.

2. მიმდინარე წლის იანვრის თვიდან დღემდე, პროტოკოლით გათვალისწინებულ რისკ-ჯგუფებზე (სკოლის და ბაღის პერსონალი, სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლები, დადასტურებული შემთხვევის სიმპტომებიანი კონტაქტები, ცხელებით და რესპირატორული დაავადებებით პაციენტები, თვითდინებით ასიმპტომური მოქალაქეები, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების თანამშრომლები) ნიმუშის აღება ხდებოდა სჯც მიერ და იგზავნებოდა ქ. ქუთაისში, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში ან შ.პ.ს მიქსტაში. სულ ერთი წლის განმავლობაში პჯრ კვლევა ჩატარდა 3571 პირს , ხოლო 2022 წელში 1375 პირს. მიმდინარე წლის მარტის თვიდან პჯრ კვლევების ჩატარება შეიზღუდა და მხოლოდ ლიმიტირებული რაოდენობით განახლდა, ივნისის თვიდან. ამ კვლევების მიზანია, ეპიდზედამხედველობა, კოვიდის მოცირკულირე შტამებზე და მას არ აქვს კლინიკური დანიშნულება.

3. ჩვენს დაწესებულებაში ყოველდღიურად ხდება სწრაფი ანტიგენ ტესტით ტესტირება. ერთი წლის მანძილზე გაკეთდა 10612 სწრაფი ტესტი, მიმდინარე წელში, დღემდე გაკეთებულია 4714 სწრაფი ტესტი.

4.საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის მიერ ხდებოდა და ხდება ყველა იმ ბენეფიციარის დახმარება(ბინაზე ტესტირება) ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ან უკიდურესი ეკონომიური გაჭირვების გამო არ შეუძლია გადაადგილება. კოვიდ ინფექციის კლინიკური ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ჩვენი სამსახურიდან ნიმუშის ასაღებად ან სწრაფი ტესტის ჩასატარებლად მობილური ჯგუფი ემსახურებოდა ბინაზე მისვლით. სულ პანდემიის პერიოდში მოვემსახურეთ დაახლოებით 300 მდე ბენეფიციარს.

5. მიმდინარე თვეში თვითიზოლაციაში გვყავდა დაახლოებით 8 პირი, ძირითადად კოვიდ-19-ით ინფიცირებულის კონტაქტის კონტაქტები.

6. ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრები ჩვენს მუნიციპალიტეტში დაიწყო 2021 წლის 4 მაისიდან. აცრები ტარდება ხარაგაულის რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრში და ბორითის გადაუდებელ დახმარების ცენტრში. ვაქცინის მიღება და განაწილება ხდება სჯც-ის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და სჯც-ის ერთობლივი მუშაობით ხდებოდა, ზონების მიხედვით აცრის მსურველი იმ ბენეფიციარების ტრანსპორტი უზრუნველყოფა ამცრელ პუნქტებამდე, რომლებსაც არ შეეძლოთ თავიანთი ძალებით გადაადგილება. ასევე სამსახური ვაორგანიზებდით და ოჯახებში მიგვყავდა ქ. ქუთაისიდან მოწვეული სპეციალური ჯგუფი რომლებიც ბინაზე უწევდა მომსახურებას უნარ შეზღუდულ პირებს. აცრები ხდებოდა სინოვაკი, სინოფარმი და პფაიზერის ვაქცინებით.

დღეის მდგომარეობით აცრილია სულ დაახლოებით 6000 მოქალაქე, ბორითის კლინიკაში აცრები ტარდება კვირაში სამი დღე: პარასკევს, შაბათს და კვირას, ხოლო დაბის სტაციონარში კვირაში ხუთი დღე ორშაბათიდან პარასკევს ჩათვლით.

7. საანგარიშო პერიოდში სჯც-ს დაავადებათა სარეგისტრაციო ფორმა N 60/ბ-ში აღრიცხულია:

1. ტუბერკულოზის 3 საექვო შეტყობინება, საბოლოო დიაგნოზი ქრონიკული ბრონქიტი.
2. ბრუცელოზის 2 საექვო-შემთხვევა, რომელიც დასრულდა უარყოფითი შედეგით.
3. ლეპტოსპიროზის 2 საექვო შემთხვევა ასევე უარყოფითი შედეგით.
4. ყივანახველა 1 საექვო-შესაძლო შემთხვევა უარყოფითი შედეგით. საბოლოო დიაგნოზი ინფექცია უცნობი ეტიოლოგიის.
5. ჩუტყვავილა 5 შემთხვევა
6. ლაიმის დაავადება (ბორელიოზი) 1 შესაძლო შემთხვევა უარყოფითი შედეგით.

ერთი წლის მონაცემები:

1. ტუბერკულოზი 10 საექვო შემთხვევა; 2 დადასტურებული ფილტვის ტუბერკულოზი.
2. ლეიშმანიოზი 1 საექვო შემთხვევა, საბოლოო დიაგნოზი კოვიდ 19
3. ლეპტოსპიროზი 3 საექვო შემთხვევა, უარყოფითი შედეგით.
4. ბორელიოზი 2 სავარაუდო შემთხვევა.
5. ბრუცელოზის 2 საექვო-შემთხვევა, რომელიც დასრულდა უარყოფითი შედეგით.
6. ყივანახველა 1 საექვო-შესაძლო შემთხვევა უარყოფითი შედეგით. საბოლოო დიაგნოზი ინფექცია უცნობი ეტიოლოგიის.
7. ჩუტყვავილა 5 შემთხვევა

ყველა დაავადების შემთხვევა დარეგისტრირებულია დზეის პროგრამაში.

0-დან 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა დაფიქსირდა 1 შემთხვევა. გარდაცვალების მიზეზი გულის უკმარისობა, ეპილეფსია, გულის გაჩერება. ( ეს ოჯახი ცხოვრობს თბილისში, მაგრამ იურდიული მისამართი აქვთ ხარაგაული, სოფ. დეისი, ამის გამო შემთხვევა აღმოჩნდა ჩვენს ბაზაში. გარდაიცვალა 1 წლის და 6 თვის).

8. 2021 წლის ივნისის თვიდან დღემდე ცხოველთა დაკბენა, დაკაწვრა, დადორბვლის სულა 152 შემთხვევა დაფიქსირდა. ყველა დაკბენილზე გაგზავნილია შეტყობინება ვეტ.სამსახურში. დამკბენ ცხოველებზე ვეტ.ზედამხედველობის დამთავრებამდე დაკბენილებს უტარდებათ ანტირაბიული აცრები ინსტრუქციის მიხედვით.

9. C ჰეპატიტისა და შიდსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტესტირება ჩატარდა სულ 2021 წლიდან დღემდე 764 პირს, აქედან 3 დადებითია. ყველა შემთხვევაზე გაიცა რეკომენდაცია კონფირმაციული კვლევის ჩატარებაზე.

10. სჯც-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა პროფილაქტიკური აცრების მონიტორინგი. პროფ. აცრები ხელს უწყობს ბავშვებში იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ.

11. სახელმწიფო უზრუნველყოფს 12 მართვადი ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციას. ესენია: დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ჰემოფილუს ინფლუენსა ტიპი ბ, ბ ჰეპატიტი, პნევმოკოკური ინფექცია, როტავირუსული ინფექცია, წითელა, წითურა, ყბაყურა, ადამიანის პაპილომა ვირუსული ინფექცია.

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მუნიციპალიტეტში არ ტარდება სამშობიარო განყოფილების არ არსებობის გამო.

	აცრები მიმდინარეობს შემდეგი ვაქცინებით.			
	ვაქცინის დასახელება	გეგმა	შესრულება	
1	ჰექსაქსიმი ( დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, ბ ჰეპატიტი, ჰემოფილუს ინფლუენსი, პოლიომიელიტი)	72	26	38%
2	ტეტრაქსიმი 18-24 თვის ასაკის ბავშვები (დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი)	77	43	55.8%
4	ტეტრაქსიმი 5 წლის ასაკის ბავშვები	122	41	33.6%
5	პნევმოკოკის ვაქცინა 1	72	50	69,4%
6	პნევმოკოკის ვაქცინა 2	72	26	27,7%
7	ა.პ.ვ (1) - 10-11-12 წელი (ადამიანის პაპილომა ვირუსი)	64	11	17.2%
8	ა.პ.ვ. (2) – 10-11-12 წელი	51	6	11.8%
9	წითელა, წითურა, ყბაყურა 1 წელზე	72	37	51.4%
10	წითელა, წითურა. ყბაყურა 5 წელზე	122	42	34,4%
11	ტეტანუსი, დიფთერია 14 წელზე	143	24	16.8%
12	როტა (როტავირუსული, ნაწლავური ინფექცია)	144	73	50,7%
13	პნევმოკოკის ვაქცინა 3 (პნევმოკოკური ინფექცია)	72	35	48,6%

12. ხარაგაულის სჯც აღჭურვილია მაცივრებით, ასაცრელი მასალის შესანახად, სადაც დაცულია ოპტიმალური ტემპერატურა, ხდება თერმომეტრის აღრიცხვა ე.წ 2.7 ფორმაში დღეში ორჯერ, ვაქცინები მოგვეწოდება დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან სპეც. ტრანსპორტით კვარტალში ერთხელ სჯც-ში. თითქმის ყველა უბანს აქვს მაცივარი, (დამატებით გადმოგვეცემა კიდეც 4 ახალი მაცივარი) სჯც-დან ს/უბნებზე ვაქცინის ტრანსპორტირება ხდება ცივი ჯაჭვის პრინციპით.

13. მიმდინარე წელს, პარაზიტოლოგიურ ლაბორატორიას თვითდინებით მომართა 51 მოქალაქემ, დაფიქსირდა პარაზიტული დაავადებების 14 შემთხვევა. სკოლამდელ დაწესებულებებში პარაზიტული დაავადებების გამოვლენის მიზნით, ჩვენი სამსახურის მიერ გამოკვლევა ჩატარდა მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდრის, ვარძიის, წყალაფორეთის, კიცხის, ბორის სკოლა, საღანძილის ლელვნის, ვახანის, ხევის, ხუნევის, ვერტყვიჭალის, ღორემის, დაბის N1 და N2 ბაღების აღსაზრდელებში, სულ გამოკვლეული 317 ბავშვიდან ინვაზირებული აღმოჩნდა 38 ბავშვი. წლის მანძილზე პერიოდულად კვლავ იგეგმება მუნიციპალიტეტის მამტაბით აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება.

14. ენტომოლოგიური მიმართულებით, კოლოს გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციით გადაიდო პანდემიის პერიოდში, დღეის მდგომარეობით განახლებულია. რამოდენიმე კვირის წინ მოხდა წყალსატევების აღრიცხვა, დაკოლოიანებული შენობების აღრიცხვა. აგვისტოს თვეში დაგეგმილია თევზი გამბუზიის გადაყვანა სოფ. ლელვნისა და ვახანის ტბებიდან რაიონში არსებულ სხვადასხვა ტბებში.

15. მიმდინარე წლის მაისის თვეში აღინიშნა მსოფლიო ჰიპერტენზიის საერთაშორისო დღე. აქციას ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრიც შეუერთდა და ჩვენი სამსახურის თანამშრომლების მიერ მოხდა მოქალაქეების წნევის გაზომვა როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ თანამშრომლებზე ასევე კერძო სექტორში მომუშავე პირებზე. სულ 143 ადამიანის გამოკითხვა მოხდა სპეციალური კითხვარის მიხედვით და დაფიქსირდა მათი წნევა. აღნიშნული მონაცემები გადაიგზავნა დაავადებათა კონტროლის ცენტრში და მთელი ქვეყნის მასშტაბით სტატისტიკურად მუშავდება.

16. ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო შეჩერებული პროგრამა - დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარების უფასო გამოკვლევა-გასინჯვა, განახლდა და ივნისის თვეში 3 ჯერ(41 პირი) მოხდა მოქალაქეების ტრანსპორტირება ქ. ქუთაისის ონკოლოგიურ კლინიკაში.

სამომავლოდ ასევე იგეგმება მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება მუნიციპალიტეტის მაშტაბით, (100- 150 ბენეფიციარი) ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების კვლევებისა და სამედიცინო სერვისებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გამოკვლევას, ბინაზე,.